


№ 7, 1938 წ. გაგომხევის წელი-XV ფასი 60.3



1938 წ. 49  
მ. თევზაძე 2459



ბერლინის ფაშისტური სამეცნიერო კონპორაციის წევრი, პროფესორი ბოლოკერი შეუდგა მორიგ ლექციას თემაზე: „აკიული სადილ-ვახუაში“.

— ჩვენი ფიურერი, დაიწყო მან, დღე და ღამე ზრუნავს იმის შესახებ, რომ წმინდა სისხლის არიელებს სმაჭამა არ მოაკლდეს. მე მოვითხოვთ თუ რა ღონისძიებებია დასახულო, რომ შევამსუბუქოთ სურსათ-სანოვავის ნაკლებობა...

რა არის მთავარი ჩვენი კვებისათვის?

— კარაქი... — გაისმა ადგილიდან.

პროფესორს უკმაყოფილება დაეტყო სახეზე.

— კარაქი? უკეთ რომ ვსთქვათ ყოფილი კარაქი. ეს პროდუქტი წინათ მართლაც იყო მოწონებაში, მაგრამ ნამდვილ არიელს კარაქი არაფრად ესაჭიროება. ჩვენმა მეცნიერებამ შექმნა კარაქის მაგიერ საუცხოვო პროდუქტი „ქვარაქი“ — ქვა-ნახშირის ზეთისაგან და „ნახევრაქი“ — საიდუმლო რეცეპტით შედგენილი ექსტრაქტი. ასუქებს კაცს. არაფრით ვანიჩრევა კარაქისაგან თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცხიმოვანებას, გემოს, ფერს და სუნს. მაშასადამე, ამ მხრივ საკითხი ამოწურულია.

კიდევ რა არის მთავარი ჩვენი კვებისათვის?

— ხორცი... ხორცი... — მოისმა ხმები.

— რაც შეეხება ხორცს, როგორც აღამიანთა კვებისათვის თითქოს საჭირო პროდუქტს, უნდა ვსთქვათ გადაჭრით, რომ ხორცის ჭაში არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ჯერ ერთი რომ ტყუილად იღვრება სისხლი...

— საქონლის სისხლი, თუ ხალხის...

— ვინ ბედავს?... — გაიყვანეთ ეგ ბოლო შევიკების მოსყიდული. — დაიდრიალა პროფესორმა, — ხორცი ზედმეტია, არიულმა მეცნიერებამ გამოიგონა ხორცის მაგიერი აბები. ერთი აბი ერთ კილო სუკს სჯობია. გამორკვეულია აგრეთვე, რომ დაპრესილი ხის ფოთლების მწვადები მეტად მარგებელია ორგანიზმისათვის. „ქვარაქისა“ და „ნახევრაქის“ ხსნარი ხომ ყოველგვარ ბულიონს სჯობია. ავილოთ მაგალითად ძროხა. ის ხორცს არა სჭამს, მაგრამ სუქდება. რას ჭამს ძროხა? ბალახს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლიან ბალახიდან გავაკეთოთ ისეთი საჭმელი, რომელიც გაასუქებს კაცს. იონჯის ყაურმა, ან სამყურას კატლეტები პიურეთი...

— პიურეს ხომ კართოფილი უნდა? — შეეკითხა ადგილიდან ბოლოკერს ერთერთი დისახლსი.


— კართოფილი, კართოფილი... წარმოგიდგენიათ თითქოს უკართოფილოთ აღარაფერი გაკეთდება. თუნდა აგრეც იყოს. ჩვენ ხომ გვაქვს კართოფილის მაგიერ „მინაფილი“. იცით თუ არა თქვენ რა არის „მინაფილი“?

— არა, არ ვიცით.

— არ გაგვიგონია...

პროფესორმა კმაყოფილებით ვაილია.

— მაშ მისმინეთ. ეს ახალი სიტყვაა კვების დარგში. ამას წინათ პოლანდიაში მოახდინეს ცდები: კართოფილისაგან გააკეთეს



— ბატონებო, სიტყვა ეძლევა კაცს, რომელსაც მთელი წლების განმავლობაში სჩაგრავენ, ებრძვიან, გასაქანს არ აძლევენს..

მინა. ცხადია, რომ თუ კართოფილისაგან მინა კეთდება, მინისაგანაც შეიძლება კართოფილის მიღება. საამისო ცდებმა დადებითი შედეგები მოგვცეს. მინა კი ადვილი საშოვია. ესპანეთიდან ჩვენ გმირულ „მოხალისეებს“ შეუძლიანთ გამოგვიგზავნონ დიდ ძალი მინის ნამსხვრევი. მაშასადამე...

ლექციის დასასრულს პროფესორმა გამოაქვეყნა მის მიერ შემუშავებული სადილ-ვახუაშის მენიუ:

სადილი № 1

„ქვარაქისა“ და „ნახევრაქის“ ხსნარი — ბულიონი, იონჯის ყაურმა, „მინაფილით“, ხისფოთლების მწვადები.

სადილი № 2

„ქვარაქისა“ და „ნახევრაქის“ ხსნარი, „მი-

ნაფილით“ (სუბი). სამყურას კატლეტი „მინაფილის“ პიურეთი. ბალახის ძირების კომპოტი (ბავშვებისათვის).

ვახუაში № 1

მოხარული „მინაფილი“ „ქვარაქით“. გადაზელილი აბები. ხის ფოთლების შნიცელი. „მინაფილის“ ტორფი.

სახლში დაბრუნებისას ბოლოკერმა მადრიანათ მიირთვა შემწვარი გოჭის ნეკნები, ზედ დააყოლა ნამდვილი რძის ნალები და სიცოლით უთხრა ცოლს:

— რა ბედნიერი ხარ, ჩემო გვრიტო, რომ არ იცი რა არის „მინაფილი“, „ქვარაქი“, ან „ნახევრაქი“. რა სჯობია შემწვარ გოჭს ან სუკის მწვადებს... ხა! ხა! ხა!.. ლ. იმერი





## I

**ჰერ ფრიც ფონ ლორდინგშტეინ!**

ლანდტაგის ახალ არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, თქვენ მიერ გამოგზავნილ მომართვაში ნება მომეცა დავასახელო ჯილდოზე წარმოსადგენად რომელიმე ჩვენთაგანი, კერძოდ ისეთი, რომელიც იქნებოდა ყველაზე საიმედო დასაყრდენი ჩვენი და თავდადებული ჩვენი საქმისათვის, სანდო და მტკიცე თავის ერთგულებით.

ნება მიბოძეთ თქვენი სურვილი შევასრულო და დავასახელო პიროვნება, რომელიც თავის საქციელით ღირსია ესოდენ დიდი პატივისა, ეს პიროვნებაა ჩვენი სული სულთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, განთქმული ხულიგანი კარლოს პოგრომსონი. იცით რა ბიჭია?.. მას შეუძლია არჩევნების დროს მთელი ხულიგანთა ბრბო ფეხზე დააყენოს, ჩვენი ქალაქის ყველა დუქნების დარაბები მიღწეწ-მოღწეწოს, ებრაელთა უბნები, რამდენიმე საათის განმავლობაში დედა-ბუდიანათ მიანგრ-მოანგრიოს და საექვო ამომრჩევლთა ოჯახები, ჭკუის სწავლების მიზნით, არჩევნების წინ ააწიოკოს. ერთი სიტყვით, მისი მუშტების დახმარებით ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია ლანდტაგის არჩევნებში.

ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, მიზანშეწონილად მიმაჩნია კარლოს პოგრომსონის საპატიო ფაშისტის ნიშნის ორდენით დაჯილდოება.

მიიღეთ და სხვა... **ალხან-ფონ-ალხანშტეინი.**

## II

**დიდად პატივცემულო**

**ჰერ ედუარტ ფონ ღრუტუნ-შტეინ!**

როგორც გადმოგვეცეს სანდო პირებმა, თქვენ ალუთქვით შესაფერი ჯილდო იმ პიროვნებას, რომელიც ყველაზე მეტად თავს ისახელებდა, ჩვენი პარტიის საქმის ერთგულებით ლანდტაგის ახალ არჩევნებში, რომელიც ყველაზე მეტად გამოიჩინდა თავს მოქალაქეთა შორის, როგორც სანიმუშო პარტიული ფაშისტი. მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ჩვენს ქალაქში ასეთი ავტორიტეტით სარგებლობს ჩვენი პარტიის აქტიური წევრი კარლოს პაგრომსონი. მისი დახმარებით ვერც ერთი პატიოსანი მოქალაქე, ვერ გავიდა ლანდტაგის არჩევნებში. მაგისთანა განთქმული ხულიგანი, არა თუ პროვინციის რომელიმე ქალაქში, მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ერთი არსებობდეს და ისიც არა ყოველთვის, არამედ საუკუნეებში ერთხელ, — უბედნიერეს ხანაში.

გთხოვთ დააჩქაროთ მისი საპატიო ორდენით დაჯილდოება: ის რომ არა, ჩვენი ლანდტაგი კომუნისტების ბუღეთ გადიქცეოდა.

მიიღეთ და სხვა...

**ჩალხან ფონ ჩალხანშტეინი**

## III

**დიდად პატივცემულო ჰერ ადოლფ ლაბაზშტეინ!**

თანახმად ჩემ მიერ წარმოებულ გამოკვლევისა კარლოს პოგრომსონი არის ჩვენი პარტიის საიმედო წევრი, ზნეობისა და ყოფაქცევის მხრივ ის არის დაჯილდოებული ყოველგვარი საპატიო ღირსებებით, როგორც განთქმული ლოთი-ფოთი და ხულიგანი, რომელიც როგორც ასეთი სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით ყველა ჩვენ თანამგრძობთა შორის. ამიტომ მისი ორდენით დაჯილდოების საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი მოგვეპოება.

## IV

**ძ.-ა.-ღ.-ღ.-ი.-ს** ...ჩვენი მხრივ არავითარი საბუთი არ არსებობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ ჰერ პოგრომსონი იქნეს საპატიო ფაშისტის ორდენით დაჯილდოებული.

**ფონღრუტუნბერგი**

## V

**ალხან ფონ ალხანშტეინს**

**ეროვნული გიგლიორთეკა**

თანახმად თქვენი შუამდგომლობისა კარლოს პოგრომსონი დაჯილდოებულია საპატიო ფაშისტის ორდენით განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლანდტაგის არჩევნებში.

**ჩალხან ფონ ჩალხანშტეინი**

## VI

**დიდად პატივცემულო მეგობარო! კარლოს პოგრომსონ!**

მომილოცავს საპატიო ფაშისტის ორდენით დაჯილდოება. გისურვებ მეტი წარმატებების მიღწევას მოქალაქეთა დარბევის დროს მომავალ ლანდტაგის არჩევნებში.

**ალხანფონ-ალხანშტეინი**

# სერენადა

ნახ. მ. ოთაროვისა



სამხრეთ სლავიის პრემიერი საგარეო საქმეთა მინისტრი სტოიადინოვიჩი ცდილობს ნიადაგის მომზადებას პიტლერის დასახლოებლად.

### სტოიადინოვიჩი:

— არ დავზოგავ შენთვის ზვარაკს, შენთვის დავდეგ პრემიერად, შენ გეტრფი და შენ გიგალობ, შენ დავსახე მშვენიერად.

შენ შეგწირავ ჩემს ხალხს, ჩემს ერს, ჩემს გულში გაქვს მკვიდრი ბინა, მოლოდინით გული დნება, მოდი, ჩემო ადოლფინა!






ნახ. ღონისა.

გერმანიის გესტაპო სძარცვავს ავსტრიის მოსახლეობას.



ავსტრიელი ჭურღები: პირდაპირ ლუკმა წაგვართევს ამ გესტაპოს ბიჭებმა: მთელი ქალაქი რომ შემოიარო, ვერც ერთ ქუჩაზე სამუშაოს ვეღარ იშოვნის!..





მსაჯი: — მსუბუქი წონის ალი-ბაბა ათ წუთში დააგდებს მძიმე წონის ჩალი-ბაბას. მტელვარება არ იყოს, თორემ შეეშლებათ მოქალაქენო!

## ხატრის გავო

— ალლო!... ამხანაგო გამგევ! — შეშინებულნი ხმით ჩასძახა ელსმენის მილაკში ამხ. ვოროშილოვის სახ. კლუბის დარაჯმა.

— რა მოხდა? — იყო პასუხი.

— უბედურება ამხანაგო გამგევ! ჩვენს კლუბში ხულიგნები შემოიჭრენ და საცეკვაო დარბაზში ერთი ალიაქოთი აქვთ.

— გარეკე!

— შეუძლებელია ამხანაგო გამგევ! ძალაზე არიან. იგინებიან, ილანძლებიან.

— გამოუძახეთ ცეკვის ხელმძღვანელს ამხ. გორსკის...

— ეხლავ ამხანაგო გამგევ!

— ეგ შეუძლებელია, ბუფეტში იყავით?

— ვიყავი, მაგრამ ვერ ვიპოვნე.

— საბილიარდოში არ არის?

— არც იქ გახლავით.

— არც საცეკვაო დარბაზში იყო?

— ეხლავე ენახავ ამხანაგო გამგევ!

\* \* \*



— ალლო! ალლო! ამხანაგო გამგევ! ამხანაგო გამგევ! ვიპოვნე ცეკვის ხელმძღვანელი გორსკი...

— სად არის?

— საცეკვაო დარბაზში.

— რას აკეთებს?

— რასა და თურმე თითონ მაგისვე ამფსონები ყოფილან ის ხულიგნები და ხატორით ვერაფერს ეუბნება და არის ერთი აურ-ზაურ-რი.

\* \*

— ამხანაგო გამგევ! — ისევ გაისმა ელსმენის მილაკში რამოდენიმე წუთის შემდეგ დარაჯის ხმა. — ცეკვის ხელმძღვანელი გორსკი ვერ ვიპოვეთ.





ლენრაიონში (თბილისი) პრობანდისტების უყო-  
ლობის გამო 26 წრეში, ხადაც 688 მსმენელი გაერ-  
თიანებული, მეცადინეობა სრულიად არ მიმდინა-  
რეობს საარჩევნო დებულების შესასწავლად.

გათენდა, ხოლო ამავე დროს რა ძალუმი  
და მრავალიმედიანი, რამ არის ეს მაისის მზე,  
მისი ცისარტყელასავით, მარტო შეიდგრაღ  
კი არა, მრავალფერად შეგვრებილი და აფრ-  
თიანებული ისრები, ავერ გულში დამიარა და  
ელექტრონის ჟღერითა და ჟრუანტელით  
ამივსო უბე!..

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ გიგო დაუ-  
დევარაძეს მაინც უკვირს, თუ რად წევს იგი  
ამ დროს ჯერ კიდევ თავის ლოგინში ასე  
გაუნძრევლად, ასე გარინდებით, და რად მო-  
უცავს რაღაც ახირებულ ფიქრებს ანუ უკეთ  
— სრულს უფიქრობას მისი გოგრა. ის კი  
არა, ბოსტანში რომ უნდა გამოიღოს ნაყო-  
ფად გუშინ მის მიერ ჩათესილმა გოგრის  
თესლმა, არამედ ავერ ჯვირანივით მოღვრე-  
ბულ კისერზე რომ აბია თვითონ მას...

— არა, რას შემომიჩინდა ეს ოხერი! — გა-  
ფიქრა... მაგრამ კი არ გაუფიქრია, არამედ  
გაუფელვა ფიქრთა სიცალიერეში გიგოს, რად-  
გან ერთი სხივი სწორედ იმ ადგილას დაესო  
გიგოს (რა დავარქვით ახლა იმას, თავი  
თუ გოგრა. და რადგანაც იგი ცარიელ  
ჭურჭელს უფრო გავს ამ წუთში, სჯობია,  
ისევე უსახელოდ დავტოვოთ. ეს გრამატკუ-  
ლად სწორ შესიტყვებას ხელს არ შეუშლის!).

გიგომ მარცხენა ხელი (დაბადებიდან ცა-  
ცუკაა!) მისევ-მოისვია... არა, კი არ მიუსვ-  
მოუსვია, არამედ განყენებულად წარმოიდ-  
გინა, რომ მისევ-მოისვია, სწორედ იმ ადგილს,  
სადაც მზის სხივი უღიტინებდა... ერთი თი-  
თი. მგონი, ნეკი, თვალში იტაკა და უნებუ-  
რად, უფრო კი ნეკზე მოვლილი და ნაბატი-  
ებად მოზრდილი ფრჩხილის თვალში კვრით  
გამოწვეული ტკივილისა გამო, გაახილა...  
არა, არ გაუხელია, მხოლოდ აპრიორულად  
დაუშვა, რომ გაახილა... გაახილა და რას  
ხედავს? ცაი და ქვეყანა, ქალი და კაცი, დი-  
დი თუ პატარა, მხეცი თუ ფრინველი —  
„ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა...“

— ეჰ! დასწყევლოს ღმერთმა ან მისმა მო-  
ადგილემ. სად ამოუკითხავს გიგოს ეს უკა-  
ნასკნელი ლექსის ნაწყვეტი? „ბუნების კარ-  
ში“! დიახ, „ბუნების კარში“!..

და სახეზე უსიამოვნო ღრუბლებმა გადაუ-  
არა...

— აი, რა ცუდია ხოლომე, როცა ადამიანს  
თავი „ძველი სკოლის“ მავნებელი იდეებით  
ექნება დატვირთული...

და უნდოდა მეორე გვერდზე გადაბრუნე-  
ბა, მაგრამ, სანამ თავის განზრახვას სისრუ-  
ლეში მოიყვანდა, ერთხელ კიდევ ჩაუფიქრ-  
და იმას, თუ სად ამოუკითხავს მას ეს „მე-  
ორე გვერდზე გადაბრუნების“ ამბავი...

და... ვერია! — იმავე „ბუნების კარში“!  
იმავე ძველი სკოლის ამ დღეს უკვე მიუღე-  
ბელს ატრიატში!..

— აა, არ შეცდე, გიგო დაუდევარაძე, არ  
მიყვე ძველი და მავნე „ბუნების კარების“  
მაცდუნებელ ხმებს!..

და სწორედ ამ დროს მოესმა გიგოს (რა  
დავარქვით ახლა ამას, ყური თუ ჭური და  
ისიც ცარიელი?) თავისი ცოლის, ანუსიას,  
არანაკლებ მაცდური და ეშმაკური ხმა:

— გიგო, რა დაგემართა, შე კაცო, ამდე-  
ნი ხანი ძილი ვის გაუგონია. ადექ, ჩი და  
რძე გაცივდა, ხაჭაპურსაც, მგონი, მეტი მო-  
უვიდა. იმის შიშით, რომ არა გაცივდეს —  
მეთქი, ვერც კი ამირეკია კეციდან... უი, ჩე-  
მი თვალების დაფხება! ქე არ დასწვია, ბეჩა,  
ერთი მხარე ამ ღვთისაგან დალოცვილს!..  
ადე, შე კაცო ადე, მოვრჩეთ ამ ერთ საქმეს  
ქემიანც...

— გიგომ, მართალია, ყოველივე ეს გაი-  
გონა ცოლის ხმით, რომელსაც ის დაექვებით  
შეხვდა პირველ გახშიანებაზე, რადგან „ბუ-  
ნების კარის“ მოგონებით აღძრული ეჭვი  
და კრძალვა ბუნებრივად გავრცელდა მას-  
ზეც, მაგრამ შემდეგში, კარგად რომ დაუქ-  
ვირდა, ვერაფერი მაცდუნებელი ცოლის მო-  
წოდებაში მან ვერ აღმოაჩინა.

პირიქით გიგოს აზრით (და ამას აზრიც  
არ სჭირია), ჩაისა და რძის ანუ რძიანი ჩაისა  
და ზედ ხაჭაპურის დაყოლება სასარგებლო  
და სასიამოვნო საქმეც არის. დიახ, „საქმე“.  
„საქმე“, — სწორედ ასე დაუძახა მას ანუსი-  
ამ, და ანუსია ხომ ასეთ რამეში არასოდეს  
არა სცდება.

მაგრამ ფრთხილად მოსახვევებში, გიგო  
დაუდევარაძე! არ შეიძლება დედაკაცის მო-  
წოდებაზე, თუნდაც ეს შენი საკუთარი ცო-  
ლი ანუსიაც, იყვეს, აცუნდრუკება და აჩქა-  
რება.

და გიგომაც ყელში მოწოლილი ნერწყვი,  
მართალია, კი არ გადაუყლაპავს, მაგრამ ად-  
გილზე კი შეაჩერა, სწორედ ისე, მილიციე-  
ლი რომ შეაჩერებს ხოლომე სამოძრაო წესის  
უხეშად დამრღვევ მოქალაქეს, საჯარიმო  
ქვითარის მიწოდებასთან ერთად.

ანუსიას რძიანი ჩაისა და ხაჭაპურის სურნე-  
ლოვანი ოხშივარით დატვირთულმა მაცდუ-  
ნებელმა მოწოდებამ ისევ გამოარღვია მაი-  
სის ისედაც ჭარბად სურნელოვანი ჰაერი და  
წასასვლელად გამზადებულ მატარებლის მე-  
ორე ზარივით გაიწკრიალა გიგოს (ვიტყოდი  
ყურთან-მეთქი, რომ ამ შემთხვევაში ში კა-  
კალ ტვინის კვინტიხამდის არ მიეღწია  
უკვე ამ მაცდუნებელ ხმას).

მაგრამ ვატყობ, რომ ნდომის ნერწყვი  
ავერ მეც მერევა უკვე, თუ სათქმელი დრო-  
ზე არა ვსთქვი (საჭმლის დროზე შექმას, აბა,  
რად თავი სტკიავს!).

და ეს საჭმელი, ე. ი. ჩი, რძე, ხაჭაპური  
თუ ცოტა სხვა რამე მართლა მზადდებოდა  
ამ დილას გიგო დაუდევარაძის ბინაზე.

საქმე ისაა, რომ გიგო რაისაბჭოს თავ-  
მჯდომარეა. მოგეხსენებათ, რომ რაისაბჭოს  
თავმჯდომარეს ამ მაისის დღეებში ზევრ

საქმე უმზერს. თესვისა თუ რეკავ-შენების  
კამპანია, უმაღლეს საბჭოს არჩევნები და  
სხვადასხვა.

წუხელის ცენტრიდან უკვე ეწვია მას გა-  
მომრკვევ-შემმოწმებელი კომისია არჩევნები-  
სათვის მზადყოფნის შესახებ რაიანში. კო-  
მისიის ერთმა წევრმა (ეტყობა, რომ ყველაზე  
უფრო კბილიანი ჩამოსულთა შორის სწო-  
რედ ისაა.) ერთი ახირებული შეკითხვა მის-  
ცა გიგოს: „საარჩევნო წრე რამდენი გაქვს  
ჩამოყალიბებული, მათთვის რამდენი მომე-  
ცადინეა გამოყოფილი, რამდენი მეცადინეო-  
ბაა ჩატარებული, როგორია წრეში დასწრე-  
ბა, აქტივობა, წარმატება და სხ...“

გიგოს აზრით, ყველა ეს უამრავი შეკით-  
ხვა ძალიან გვაგონებს სოფელში ცნობილს  
ანეკდოტს, პატარძალი რომ მოუთხრობს  
ხოლომე თავის დედამთილს ზედმეტი შთაბეჭ-  
დილების მოსახდენად: „ხბო დავაბი, ხბო  
აუშვი, ხბოს ბალახი მოგუტანო“... როგორც  
აქ ყველაფერი ხბოზეა ნათქვამი და ერთ სა-  
განს კი შეეხება, ისე კომისიის წევრის ზე-  
ვითაღნიშნული შეკითხვებიც ხომ ერთს სა-  
განს, ე. ი. საარჩევნო წრეს შეეხება და რაღა  
საჭირო იყო ამდენი შეკითხვები...

მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, არც  
ისე უბრალო ყოფილა კითხვის შეკითხვებად  
დანაწილება, რადგან გიგოს პასუხიდან „ირკ-  
ვევოდა“, რომ წრეებიც ჩამოყალიბებული  
ყოფილა (ეს საქმე საუბნო კომისიებსა და  
სათანადო დამხმარე ორგანოებს ჰქონია და-  
კისრებული), მომეცადინეებიც მიმაგრებული  
ყოფილან წრეებზე, მეცადინეობაც, რაღა  
თქმა უნდა იქნებოდა, თითოჯერ დასწრე-  
ბაც უთუოდ იქნებოდა, ხოლო, დასწრება თუ  
იყო, აქტივობაც უთუოდ იქნებოდა და წარ-  
მატებაც ხომ აქტივობაზეა დამოკიდებული  
და, ალბათ, ისიც იქნებოდა... ასე რომ „ხბოს  
აშვება“ ყოფილა საქმე, თორემ ბალახს იგი  
შემდეგ თითონაც იშოვის, პატარძალმაც რომ  
არ მოუტანოს.


სამწუხაროდ, კომისია არ დაეთანხმა გი-  
გოს „მოსაზრებებს“ და, როცა მასთან ერ-  
თად შეამოწმეს საქმე, აი რა გამოირკვა: პირ-  
ველივე წრე რომელიც სიაში პირველ ად-  
გილზე იყო მოხსენებული, სინამდვილეში  
არც კი შობილა ჯერ, ე. ი. არ შეკრებილა,  
არაა ორგანიზებული, მომეცადინე, რომელიც  
წრეზეა მიმაგრებული, ფაქტიურად სახელმ-  
წიფო უნივერსიტეტზე ყოფილა მიმაგრებუ-  
ლი და იქ ისმენს თურმე ლექციებს, იმის მა-  
გივრად, რომ მას უსმენდნენ წრეში, და სხვა-  
დასხვა.

ერთი სიტყვით, გიგომ ქალღმერთზე ყველა-  
ფერი გააკეთა, შესაფერი დავალებები დრო-  
ზე მისცა, მაგრამ ამ დავალებათა შემოწმება  
კი დაავიწყდა და ახლა მისი მიხედვით,  
საქმე ცუდად უნდა იყვეს. ანუსიამ ეს წუხე-  
ლის ლოგინშივე შეამჩნია ქმრის ქვეშავებში  
მოუსვენარ ტრიალსა, ხშირად ოხვრასა, მგო-



# რამე-რამე

მატარებლით მოასვენეს  
ბეკოს ცოლი მარიამი,



კუბო გახსნეს და აღმოჩნდა  
პლატონ მაჭავარიანი.

სუფში თუ რამე შენიშნე,  
გამგეს ეტყვი სამღურავს,



გიპასუხებს: „ეგ ბუზია,  
აცა, თითონ გასცურავს“.

კოჯრიდან შაქრო მანქანით  
ოქროყანას გადმოფრინდა,



ამბობს: მეყო შოფერობა  
ეხლა პილოტობა მინდა.

ჯარიმაა, ნაგავს ნუ ჰყრი,  
მეწოვე მარიგებს,




— თვით სანიტკომისია ვარ,  
მე ვინ დამაჯარიმებს!?

წელში ისე იგრიხები,  
თითქო ქარი ლერწამს ლუნავს,



გოგო კბილი ხომ არ გტკივა,  
ბერეტი რომ ყბაზე გხურავს!?

ჩენს ფოსტალიონს მიემართე:  
— გაზეთებს რატომ გვართმევო,



— თავს ვუყრი და ზმ თვის ბოლოს  
სულ მთელ კომპლექტს მოგართმევო.

ნი,ბოდვაზეც, და დილით კიდევ სახეზე ნახ-  
შირით ვადაკრულ ფერზე.

და აი, დილიდანვე აფუსფუსებულ ანუ-  
სიას უნდა ახლა გიგოს მიერ წამხდარი საქ-  
მის გამოსასწორებლად რძიანი ჩაით, ხაჭაპუ-  
რითა თუ სხვა რამ ყელის ჩაკოკლოზინებით,  
ერთი სიტყვით, პურღვინოს რომ ეძახიან,  
იმით შეიჭრეს კომისიის წიაღში და შეიტა-  
ნოს შიგ თავისი წკლილი სწორედ იმ ფუტ-  
კარივით, გაზაფხულის მზის პირველივე სხივ-  
ზე რომ გამოიჭრა თავის სკიდან და საქმიან-  
ობაში ყელამდე ჩაფლულმა გიგოსავით საქ-  
მის დაუღვეარ ყმაწვილებს რომ მათთან თა-

მაშზე უარი უთხრა.

ჩვენ ანუსიას პურღვინოზე დამყარებული  
„იმედიანობისა“ არაფერი გვწამს. მაგრამ ერ-  
თი კითხვა კი არ გვისვენებს: რა იქნებოდა,  
რომ „ბუნების კარში“ მოხსენებული ამბე-  
ბი გიგოსაც ისე ზედმიწევნითა და თანამედ-  
როვეობასთან უფრო სალი შეხედულებით  
სცოდნოდა და მესხიერებაშიც ჰქონოდა ჩა-  
ქედილი, — ვიდრე ანუსიას!.

რა და უფრო კაი მასპინძლები ეყოლებო-  
და მაშინ ცენტრიდან ჩამოსულ კომისიას!

## ბიუროკრატიის ბრძალებში

ოსიაურისა მტს-ში  
დირექტორია კუცია,  
ინსტრუქტორ ბლიაძისთვის რომ  
ხელფასი არ მიუცია.  
სად არ წავიდა ბლიაძე,  
ვის არ შესჩივლა იმანა,  
კუციამ ისე მოაწყო,  
ისევ ბლიაძემ ინანა!..  
ბლიაძის სიტყვა კუციას  
ესმის, ვით ქარის ჭარტალი:  
„დიდ კაცთან“ „პატარა კაცსა“  
აღარ გაუღის მართალი!..





საბჭოთავო საზღვრო სამხედრო სამსახური  
 სპორტული და სანაოსნო  
 კლუბების დახმარებით  
 საბჭოთავო საზღვრო სამხედრო  
 სამსახურის მსახურის  
 დასრულების შემთხვევაში  
 საბჭოთავო საზღვრო სამხედრო  
 სამსახურის მსახურის  
 დასრულების შემთხვევაში


მილიტანობა გაიყვანეს





მილიონება გაიქვანეს





**მგზავრები:** — გვიშველეთ ამხ. ინსტრუქტორებო! ვატმანი დავკარგეთ! სამსახურში ვვაგვიანდება.  
**ტრამვაის ინსტრუქტორი:** — არაფერია, ისაუშმებს, პაპიროსს მოწვეს, დაისვენებს და ხელად დაბრუნდება.

## უარა „მსნაბის უარღუბი“

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ახალი ფარდაა, რომელიც დამაბინჯებით გამოხატავს ქაჯეთის ციხესთან სამი გმირის მისვლას.

ენახე: ოპერის თეატრში ახალი ფარდა ჰკიდა, ზედ რომ სურათი ჯუჯაა, ირგვლივ არშია დიდა. ეს არაფერი, რომ სამს გმირს ჰქონდეთ სიცოცხლის ხალისი, ისე მიჰკვირიან ერთურთს, ვით ბაღს ბაღი შესაბრალისი. საუცხოვოა ტარიელ ვეფხის ტყავით და ქუდითა უკან, ღვანღვალა შლეიფად გადაკიდული კუდითა. — და ვფიქრობ გულში: ეს ვეფხი ტურა არის თუ მელია? კუდი მელის აქვს, ღვანღვალა, ეს ტყავი თუმცა ჰრელია. ქალის ბეწვიან ყელსახვევს ის კუდი უფრო შვენია...

არც სამასი სჩანს მხედარი, არც სად ტარია ცხენია. თუ ვერწმუნებით მხატვარსა, გმირიც არც ეგზომ ძველია, ტანისამოსზეც ამისი ცნობა არც ისე ძნელია: შარვალი სცმია „გალიფე“, წვივებზე რტყმია „კრაგები“ ქაჯეთის ციხეც წინ უდგას, ქვითკირით ისე ნაგები, რომ ციხეს არა, ხუხულას ძლივს გამოიცნობთ იმაში: ქარმა თუ არ წააქცია, წყალი წაიღებს წვიმაში... მას სამი გმირიც არ უნდა, არც სამას მხედრის თავდება: ბატმაც რომ ერთი წიხლი ჰკრას, უმაღვე აყირავდება...

ვით სოკო, დაკოსებული მთის ძირს ნაწვიმარს მიწაზე... და რჩებით გაოცებული მხატვრის შეცნობა მიზანზე... თუ სურდა ციხე ქაჯეთის მოეცა, ძნელასაღები, უნდა აეგო წვერზე მთის, ცის გაერღვია თაღები... ეს კი ბუხრის მილს გვაგონებს, პირს ცეცხლიც რომ ჩაჰჭრობია, და ფარდაც ისე გვაღონებს, რომ უფარდობა სჯობია... სახანძრო კომისიას ჰგავს, სამეულს, ასულს „კრიშაზე“... ვაი, დიადო შენობავ, ვის აუგებარ ქვიშაზე?!

მარდი



## გამცემი


ცირკში ანტრაქტი გამოაცხადეს.

მაყურებლების უმრავლესობა გარეთ გაემართა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად.

გასტრონომიის მაღაზიის გამგე თავის პატარა ვაჟით და გამგის გვერდით მჯდომი სარევიზიო კომისიის წევრი ისევ თავიანთ ადგილებზე დარჩნენ და საუბარი გააბეს.

სარევიზიო კომისიის წევრმა ასეთი აზრი გამოსთქვა. — ცირკში მის თვალის წინ ჩატარებულ ფოკუსების შესახებ:

— „ფოკუსების“ კეთება ძველთა ძველი ამბავია. მაგ დარკის „ხელოვნების“ სიძველეს ადასტურებს ის ფაქტიც რომ ზღაპრული ვადმოცემით ქრისტემ წყალი ღვინოდ აქცია.



— ღვინოდ გადაქცევა რა არის, მამაჩემმა მაღაზიის აღწერის წინ ჩაის წყალი კონიაკად აქცია: კონიაკის ცარიელი ბოთლები სულ ჩაის წყლით აავსო რევიზიის წევრების გასაცრუებლად. — სხაბასხუბით შენიშნა რევიზორს გასტრონომის გამგის პატარა ვაჟი-შვილმა.

## საწყალი გამგე

აღხან წუწნიაშვილს გლახა დღე გაუთენდა: მაღაზიას, რომლის გამგეთაც ის ითვლებოდა, თავს რევიზია დაატყდა;

რევიზიაც არის და რევიზიაც.

აღხანის მაღაზიის რევიზიის გამორჩენა სრულიად მოულოდნელი იყო.

მოულოდნელობა კიდევ არაფერია: ხანდახან რევიზია თუმცა მოულოდნელია, მაგრამ ისე ძმაბიჭურად მიმდინარეობს, რომ ასეთ რევიზიაზე აღხან წუწნიაშვილი სიამოვნებით იტყოდა:

— შენ გენაცვალოს შავს თვალეში ჩემო მოულოდნელო რევიზიავ, ყველა მოსალოდნელი რევიზიები.

აღხანის მაღაზიის ახლანდელ რევიზიაზე ეს არ ითქმებოდა. იგი მოულოდნელობასთან ერთად არა ძმაბიჭური იყო.

აღხანს 900 მანეთი დანაკლისი აღმოუჩინეს.

ოქმი დაიწერა და ზემდგომ ორგანოს გადაეცა ორგანოს მესვეურთა მიერ ორგანიზაციული ზომების მისაღებად.

აღხან წუწნიაშვილს ზემდგომ ორგანოში ჩაღხან ქუწნიაშვილი მფარველობდა.

— უკანონო რევიზია იყო. მართალი კაცი ვარ, ტყუილად მომინდომეს გაშავება. — ამბობდა აღხან წუწნიაშვილი.

+ დანაკლისი გქონია, მონდომება რა შუაშია! — უბასუხებდნენ ზოგიერთები.

— აღწერა უკანონოდ, არასწორად ჩაატარეს. ახალი რევიზია უნდა დაინიშნოს. მიშველე ძმაო ჩაღხანო! — ეუბნებოდა აღხან წუწნიაშვილი „ყოველის შემძლე“ მფარველს ჩაღხან ქუწნიაშვილს ჩაღხანს აღხანის ტყავი დაენანა და დასწერა ფიცხელი ბრძანება:

„რევიზია ჩატარებული ამადამ მაღაზიაში, რომლის შედეგების მიხედვით აღხან წუწნიაშვილს დააკლდა 900 მანეთი, ჩაითვალოს, უკანონოდ და ოქმი მისი მუშაობის შესახებ გაუქმებულ იქნეს“.

— ჩემი გაუქმება უნდოდათ, მაგრამ თვითონ გამაუქმებლები გავაუქმე, — წარმოსთქვა მედიდურად თანამშრომლებთან აღხანმა, უღვაშებზე ხელი გადაისვა და ჩაღხანის მორიგი გამოქომაგებით წახალისებული ახალი ენერგიით შეუდგა მაღაზიაში „მუშაობას“.

ორი კვირის შემდეგ ისევ გაჩნდა ახალი რევიზია.

რევიზია ისევ მოულოდნელი იყო.

აღხანის დანაკლისი უკვე, 9,000 მანეთს აღწევდა.

როდესაც რევიზიის წევრები ოქმის წერას შეუდგნენ აღხანს სული ყელში მოეჭინა.

— უკანონო რევიზიაა. ტყუილად უნდათ გამაფუჭონ, მაგრამ მე არ ვიყო აღხანი თუ ვერ გავაუქმებ მაგათ მუშაობას, — უნდოდა დამუქრებით ეთქვა აღხან წუწნიაშვილს მაგრამ ბაგე მოდუნებოდა. ენას ველარ ძრავდა: ზემდგომ ორგანოში ჩაღხანი აღარ იყო.

## „ორგანიზატორი“

საგაზაფხულო თესვის ალო მოვიდა.

კოლმეურნეები მინდორში გასასვლელად ემზადებოდნენ.

ტრაქტორისტი ილო მანქანას ზეთავდა. მისი შემცველი გაბოჭანჭიკებს და ქანჩებს ასწორებდა. კოლმეურნეები ერთმანეთს აფრთხილებდნენ, რომ მათი ბრიგადების პირველობა არავისთვის დაეთმოთ.

— ამაღამ ადრე დავიძინებ, რომ ადგომა ვერავინ მომასწროს. — ამბობდა ერთი.

— მეც. — უბასუხებდა მეორე.

— თინო, ხვალ უთენია წამოვდგები და გაგაღვიძებ.

— არ დამპირდება. — გაისმოდა სოფელში.

იმავე საღამოს კოლმეურნეებმა ცნობა მიიღეს, რომ რაიონიდან ჰომხსენებელი ენამტკაველაძე იყო ჩამოსული. მოხსენება საგაზაფხულო თესვის მნიშვნელობას შეეხებოდა. — ყველანი უნდა დაესწროთ. არ დაავიანოთ. — გააფრთხილეს კოლმეურნეები.

ენამტკაველაძის მოხსენებას საგაზაფხულო თესვის მნიშვნელობის შესახებ მთელი სოფელი დაესწრო.

როცა ენამტკაველაძე მოხსენებას ამთავრებდა, მზე ამ დროს უკვე, როგორც იტყვიან, შუბის ტარზე იყო ამოსული.

— ამრიგად მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ჩემი მოხსენების შემდეგ, უკვე ითვალისწინებთ რა საგაზაფხულო თესვის ორგანიზებულად ჩატარების უდიდეს მნიშვნელობას, ამ საკრებულო დარბაზიდან გაათქვეცბული ენერგიით გაემართებით საკოლმეურნეო მინდვრებისაკენ...

— ხრრრ... ხრრრ. ხრრრ... — ისმოდა ღამენათვე კოლმეურნეების საპასუხო ხმა.



# „ამ ცნობას რავე გაკადრებთ“

(ნიანგორის ბლოკნოტიდან)



— აბა, სასწრაფოდ შეიარაღდი თოფითა და ჯინჯილით ამხ. დავითა, თესვის მიმდინარეობა უნდა შეამოწმო. ჯერჯერობით ჩვენს მახლობელ რაიონში, ანუ ეგრეთწოდებულ ყოფილ გარეუბანში გაისეირნე! — მიბრძანა ამხ. ნიანგმა.

ხუთ წუთში მზად ვიყავი და დღის 12 საათზე თბილისის რაიონმასკომის მიწვანის გამგის ძევაშვილის კაბინეტში ამოვყავი თავი. ჩემი გაცნობა გამგის სახეზე რაღაც უცხაური გამომეტყველებით აღიბეჭდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და დიდი მოწიწებით ჩამომართვა ხელი.

— სულ არ შექონდა იმედი, რომ აქ დახვდებოდით... ალბათ სულ რაიონში ატარებთ დღელამეებს და ესლაც შემთხვევით მოგისწარით მგონი — დავიწყე შორიდან.

გამგემ თავის მხრივ დაშაქრულად ჩაიბუღბუღა:

— ჰა, რავე გეკადრებათ ამხანაგო, ჯერჯერობით კიდევ არ არის სასიამოვნო რაიონში ხეტიალი, მით უმეტეს, რომ ახლა უდიდესი ბრძოლა მიმდინარეობს ხენა-თესვის კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებისათვის რასაც უაღრესად დიდი ენერჯის დახარჯვა სჭირდება. ხუმრობა ხომ არ გგონიათ 45 კოლმეურნეობა გეყავს და ყველას ზუსტი ოპერატიული ხელმძღვანელობა ესაჭიროება.

რაც შეეხება კვირკობ-მარიამობისთვის, მაშინ კი სწორედ მოგახსენოთ, დიდებულია

ნატახტარის ან მუხრანის ასწლოვან ხეების ჩრდილში მწვანე მოღზე წამოწოლა...

— ხენა-თესვის საქმე როგორ მიმდინარეობს? — გადავედი საკითხზე.

— დიდებულია. საათივითა მაქვს მოწყობილი საქმის ორგანიზაცია!

— მაინც?

— ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან კოლმეურნენი: გაწმენდილი და შემოწმებული დიდ კონდიციური თესლეულობებით, მანქანა-იარაღებით, საწვავ-საცხები მასალით, გამწვევი ძალით და ვინ მოსთვლის კიდევ რა...

ესლა თქვენ რომ ჩვენი რაიონის საკოლმეურნეო მიწდვრებს გადახედოთ, შეხედავით თუ როგორ ზღაპრულ მდევებივით მოსდებიან მათ ფოლადის რაშები, რომლებიც გრივალეით ბულრაობენ და ჰგლეჯენ დედამიწის გულმკერდს, ხნავენ, ფარცხავენ, თესვენ და შრომის სიმფონიის მუსიკალობა ატკბობს თვალსა და ყურს...

— ხენა-თესვის ვადები უკვე დასასრულს უახლოვდება და ალბათ იმასაც მეტყვით თუ გეგმის რამდენი % გაქვთ შესრულებული.

— მაგაზე ჯერჯერობით ზუსტად ვერაფერს გეტყვით... რაც შეეხება დანარჩენებს სიმართლე უნდა მოგახსენოთ, რომ ხალხი სათანადოთ მყავს განაწილებული. — ჩემი დევ-გმირები...

ამ დროს გარეთ რაღაც ჩოქოლი ატყდა,

უცბათ გამგის კაბინეტის კარები გაიღო და შვიდი კოლმეურნე შემოვიდა.

— რა ამბავია ყმაწვილებო, რომ ყველა ასე ერთბაშად შემოვლიჯინდით! — რიხით მიმართა გამგემ კოლმეურნეებს.

— რაღა რა ამბავია, თქვე დალოცვილო, თვენახევარია რაც თესლეულობა გამოგიგზავნეთ შესამოწმებლად, მის შემდეგ ეს შეექვსედ ჩამოვდივარ და დღემდე კიდევ ვერ მივიღე პასუხი. — დაიწყო ერთმა.

— მეც კიდევ ერთი თვე გემუდარებით კარტოფილის და ხახვის თესლს და თქვენ კი ყურსაც არ იბერტყავთ...

— მე კომბოსტოს, ჭარხლის და პამიდორის თესლებზე სიარულით ფეხები გამიბრტყელდა, მაგრამ მის მიღებას საშველი არ დაადგა... აქ რომ დაბრძანებულხართ, ჩვენც მოგვინახულეთ თუ რა დღეში ვართ. ესლა გახურებული თესვა უნდა მიმდინარეობდეს და ჩვენ კი აქ სიარულს ვუნდებით.

მიწვანის გამგეს ხმა ჩაუწყდა... შუბლი სიმწრის ოფლმა დაუყონა, მოიმიზეხა: წელის ტკივილისა და მუხლებში ქარების გადგომის გამო ვერ მოგინახულეთ, ყველანი დიდი დაბირებებით გაისტუმრა და უნდა გავვეგრძელებინა საუბარი, რომ გამგეს, საქმის მწარმოებელმა რაღაც ქალაქი გადასცა. სთქვა მტს-იდან გამოაგზავნეს ხენა-თესვის მიმდინარეობის ცნობებიო...

გამგემ უცბად გადაათვალიერა და ქალაქი მაგიდის უჯრაში უნდა გადაეძახა, რომ შევაჩერე.

— მოითმინეთ, მომეცით თუ შეიძლება.

— აჰ, ამ ცნობებს რავე გაკადრებთ, შეიშუშნა გამგე, — აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს... ახლავე გავსცემ ფიცხელ განკარგულებას, რომ დაუყოვნებლივ სიზუსტით დაზუსტებული უზუსტესი ცნობები მიდებუნონ და...

— არა უშავს რა, ამითაც დავეკაყოფილები, ქალაქი ჩამოვართვი და შემდეგ ამოვიკითხე:

„თბილისის რაიონმასკომს ხენის გეგმა შესრულებულია“	18%
გადახენის	2,8%
თესვის	1,0%

მუშაობა ფართოდ გაშლილია. დღიურ გამოშუშავების ნორმების შესრულებამ უკვე მიაღწია 7% ვგოცნებობ ორცელიან სამუშაოზე გადასვლას, როცა სათანადოთ მოვმარაგდები ტრაქტორისტებით, საწვავ-საცხები მასალით, ძაბრებით, ვედროებით და სხვ.

მცხეთის მტს-ის დირექტორი ბარბაქაძე.

— საუცხოოდ გქონიათ საქმე ამხ. ძევაშვილო, მშვიდობით.

— მოითმინეთ, აწრიალდა გამგე, — მე ვფიქრობ ამხანაგო, რომ რაიონის მუშაობის საუკეთესო ნიმუშს ჩრდილს ვერ მიაყენებს ეს პატარა წვრილმანი, რომელიც...

— საკმარისია, საკმარისი... დღეისთვის თქვენც ეყოფით საკბილოთ ამხ. ნიანგს! — ვსთქვი და კარი გავადლე.


ჩემი გამოსვლა და გამგის კაბინეტის კოლმეურნე გლეხებით ავსება ერთი იყო.

დავითა.

## მოსთქვამენ „გელაურები“ ...

ხალიფაურის (ქიათ. რ.) კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვი დასუსტებულია უქმელობით.

ნახ. ან. კანდელაკისა.



— იამა გვშობა შობითა, ვარდმა გავგზარდა ქებითო, „უხვად გვიყრია საკვები“, ფეხებზე ვეღარ ვდგებითო.





— რად არის აქ ამდენი ჯარი თავმოყრილი?  
 — პროვოკაციის შემთხვევისათვის.

— თუ პროვოკაცია არავინ მოახდინა?  
 — მოახდენენ! რაკი ამდენი ჯარია, კიდევაც მოახდენენ.




# სპილგასაკრავი ამბები



## თავგუბი ყალყზე ღებვიან.

ბოქორძის (საგარეჯოს რაიონი) კლუბი უპატრონოდა მიტოვებული. იატაკ აყრილ სცენაზე თავგები ყალყზე ღებვიან



გამგის შემოსვლას კარებში პატაკით ეგებებიან...

კაპეტივაძე.

## დანარჩენი ხვალ იქნება...

დუშეთი

ჩვენს თეატრში, ნიანგჩემო, გახდა უკვე ერთი წელი, — რაც ტარდება რაღაც ფილმი დრომოკმული ძველის ძველი.

სამ ნაწილს რომ გაჩვენებენ დაბნელდება, შუქი ქრება, გამგე ყვირის: „ეხლა წადით, დანარჩენი ხვალ იქნება“.

კვანტა.

## ყველა ვსწავლობთ...


სიღნაღში გვაქვს ერთი სკოლა შესახედათ არა უშავს — მაგრამ კიბე ჩამოენგრა დაიშალა, დაიფუშა.

ამ შემთხვევამ გვაიძულა შევეითვისოთ საქმე ორი: სპორტის საქმეს ყველა ვსწავლობთ მოწაფე თუ დირექტორი

ხოკე.

## ხურდა ფული თუ მოსთხოვე...

სურამის კოოპერატივში ნოქარი გვყავს ლოთი-ფოთი, აკოფოვის გვარისაა უყვარს ღვინო სავსე ბოთლით.



„წერილად“ ქაფავს, და ამ ქაფით თავს ირჩენს და სხვასაც არჩენს, ხურდა ფული თუ მოსთხოვე გაგილანძღავს მშობელ გამჩენს

კვანტი

## თავზე ქოლგა თუ არ ჰხურავს...

(ხულოს რ.).

ყინჩაურის, სოფლის საბჭოს შენობა აქვს ისე კარგი, წვემიანში აბაზანის მიღებაა მეტად მარგი.



აქ, ჯანპუნქტსაც თუ ეწვიე და მიმართე ექიმ შურას, რომ კვდებოდე ვერ გაგსინჯავს თავზე ქოლგა თუ არ ხურავს.

კვანტილა

## ღიღინი

(ჩხარის რ.)

რაიმიწვანის გამგე ვარ სულამანიძეო, ვინც თესვაში არ გაგვისწრებს მისი ქირიძეო,



მაშინ ჩამორჩენილებში წინ ვიქნები მეო, თესვის ცულად დაწყებაში ყველას ვაჯობებო. გამწვევ ძალას ჩვენში ადგას მეტად ცული დღეო: ასის ნაცვლად ოცი ხარი გავაჯანსაღეო. თესვაზე ფიქრს მირჩენია მოლზე წამოვწვეო, კარგი სუფრა გავიშალო მაგრად გამოვთვრო. საქმე ცულათ არის, მაგრამ როდი ვსტირი მეო; წითელ ღვინოს ვენაცვალე მისი ქირიძეო!

ნუნუ.

## ისწავლეთ გენაცვალეთო...

(მაჩხვარეთი, ლანჩხუთის რ.).

აქ სამკითხველოს განაგებს ბისიეშვილის ქალია, კარებზე განცხადება; დღეს სრულებით არ გვცალია. სამკითხველოში ნუ მოხვალთ იპოლიტე თუ ილია, იცოდეთ სამკითხველო რომ ყოველდღე დაკეტილია. იყიდეთ წიგნი და სახლში მისი ფურცლები თვალებით, დაჯექით სახლში თქვენთვის და ისწავლეთ გენაცვალეთო.

კუკარაჩა





მანასემ სთქვა: — ბიჭო გიგა წყურვილი მაწუხებს, — მეც მიშრება კაცო ხახა, — გიგა უპასუხებს.



აჰა, ბიჭო ბაკი, წყალით, ხელაგ აგერ იქა?!. — ბაკს მეც ვხედავ ჩემო ძმაო, მაგრამ არ სჩანს ჭიქა.



უტრიალეს ბაკს გარშემო მანასემ და გიგამ. არც აციეს, არც აცხელეს გადაეშენენ შიგა.

ნუკრი.

## სამტრედიის სასტუმროში

ახალი დაღამებული იყო, თანაც ძალზე ციოდა, როცა სამტრედიის სასტუმროს ვეწვიე... გამგის კაბინეტში მაგიდას შემოსდომოდნენ: თვით გამგე გ. ნიკურაძე და კომენდანტი ვ. სულაბერიძე, რომელთაც ერთი ბატონო ტიკტორის გამოცლა უკვე მოესწროთ და ახლა უცოდველ ნუკრებივით ნაბავდნენ თვალებს.

ჩემს მისვლაზე ისევ გამოფხიზლდნენ და ჩაუღლინეს:

...თინა... თინაააა.

გენაცვალე ჩემო თინააა...

— უკაცრავად, თავისუფალი ნომერი გაქვთ?

— როგორ არა ამხანაგო, მაგრამ გირჩევთ ძმა-ბიჭურად საერთოში მოთავსდეთ — მითხრა გამგემ.

— რატომ?

— რატომ და ამალამ? ყინვა კრიმანჭულს ვატქმევინებს; საერთოში კი შეგიძლიანთ ყველა ერთად შეერთდეთ, ერთმანეთს ჩაეხუტოთ და საერთო ძალით გადაიტანოთ ტანჯვა-წვალება...

— რატომ ლუმელებს არ ანთებთ?

— რა დავანთოთ, როცა ლუმელები არა გვაქვს!

— რატომ არა გაქვთ?

— ფული არ არის!

— ფულს ხომ ვიხდით — ღამის გასათევს.

— შენ, ჩემო ძმაო, რევიზიაზე თუ მონვედი სხვა საქმეა... თუ არა და მე ჩემი ნაწილიკებისათვის არ ჩამიბარებია სოტ-ანგა-

რიში და თქვენ ვინა ხართ?! — აუწია ხმა გამგემ. — თუ გცივათ, არაყი და მისი ჯანი: გადაჭკარ და სითბოს კი არა ცეცხლს და თაკარას მოგიკიდებს მუცელში... ჩვენც მიტომ ვართ ასე შექინჯილებული ყოველდღე,



რომ ქარსა და ყინვას სულ კუდით ქვა ვასროლინოთ, — დააბოლავა გამგემ, — უკანასკნელი ჩაის ჭიქა ღვინით აავსო და სულმოუთქმელად გადახუხა...

რალას ვიზამდი, ვიფიქრე: „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“. გამოვართვი ქვითარი და გავემგზავრე ჩემს ოთახისაკენ. დამ-

ლაგებელმა გზა კვართი გამინათა, ბევრი მატარა და ბოლოს შემიყვანა ერთ საყინულეში, მიმითითა დანჯღრეულ ტანტზე და ის იყო გარეთ გასვლას აპირებდა, რომ შევაჩერე:

— უკაცრავად, მგონი სკამი დავიწყებიათ და თუ შეიძლება შემომიტანეთ.

— რას ბრძანებთ ბატონო, სკამები თვალის დასანახავად გვენატრება... ერთადერთი სკამი მოგვეძევება მთელ სასტუმროში, რომელიც გამგეს უდგია კაბინეტში და მისი იქ არ ყოფნის დროს მორიგეობით ვისვენებთ ხოლმე მასზე სასტუმროს თანამშრომლები.

— მაგიდა?

— ერთი ადამისწლის მაგიდა გვქონდა, რომელმაც დიდიხანა განუტევა სული და მის შემდეგ მაგიდების შეძენაზე ფიქრიც კი შეწყდა.

— ერთი წყლის გრაფინი მაინც მომიტანეთ.

— რა ვქნა ბატონო, ერთი ათხარეჩიანი ღოჭი გვქონდა წყლის დასალევად, რომელსაც ყველა ოთახებში ჩამოვატარებდით ხოლმე რიგრიგობით. ისიც გუშინ წინ კომენდანტს წაეღო ბაზარში ღვინის მოსატანად და იქ გასტეხოდა.

მინდოდა. თეთრეულის გამოცვლაზე ჩამომეგლო ლაპარაკი, მაგრამ ხმა ჩავიკმინდე...

დავითა.





უკანნი: — ვილუბებით! თუ თესვის გეგმა შარშანდელსავით ბოლშევიკურად შეასრულეს და დაუთეს-დაუფარცხავი ხორბლის მარც-ვალიც არ დაგვიტოვეს, შიმშილით დავიხსოვებით.